# შპს ექსკლუზივი ( ს/კ 404872893)

## ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
## 2023 წლის 31 დეკემბრის  მდგომარეობით.

# სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _3_
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება _4_
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება _5_
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება _5_
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები _6_

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (თანხები მოცემულია ლარში)

| აქტივები | 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---|---|---|---|---|
| *მოკლევადიანი აქტივები* | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 499175 | 662767 | 113961 | 50865 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1296015 | 965447 | 926461 | 474440 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 807949 | 262850 | 17491 | 5301 |
| მზა პროდუქცია | 825726 | 606900 | 410662 | 421665 |
| *გრძელვადიანი აქტივები* | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 4271999 | 390478 | 461725 | 448456 |
| **სულ აქტივები** | **7700864** | **2888442** | **1930300** | **1400727** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 288576 | 916472 | 367152 | 68616 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 13230 | 64032 | 50993 | 15704 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | - | - | 96076 | - |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 4007468 | - | - | - |
| **სულ ვალდებულებები:** | **4309274** | **980504** | **514221** | **84320** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| კაპიტალი | 585720 | 285720 | 285720 | 285720 |
| გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი) | 2805870 | 1622218 | 1130359 | 1030687 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **3391590** | **1907938** | **1416079** | **1316407** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | **7700864** | **2888442** | **1930300** | **1400727** |
| **მოკლევადიანი აქტივები სულ:** | **3428865** | **2497964** | **1468575** | **952271** |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | **301806** | **980504** | **514221** | **84320** |

საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება)2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(თანხები მოცემულია ლარში)

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|---|
| ამონაგები საქონლის გაყიდვიდან | 7994696 | 4527680 | 3537240 |
| გაყიდვების თვითღირებულება | (4836431) | (3727652) | (3285690) |
| **საერთო მოგება** | **3158265** | **800028** | **251550** |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | - | 11450 | 7789 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (250863) | (118622) | (99490) |
| ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი | (3305) | (3182) | (1949) |
| საპროცენტო ხარჯი | (71459) | (2743) | (17255) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (68149) | (47871) | (31364) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(393776)** | **(160968)** | **(142269)** |
| **საოპერაციო მოგება** | **2764489** | **639060** | **109281** |
| წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალიტითვაჭრობიდან მიღებული დივიდენდები | (45263) | (3793) | (488) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი/ ( ხარჯი ) | (4333) | (19569) | (9121) |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძნობითი ოპერაციებიდან** | **2714893** | **615698** | **99672** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (207705) | (18576) | - |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი | 2507188 | 597122 | 99672 |
| ძირითადი საშუალებების ( მათ შორის , ბიოლოგიური აქტივების)გადაფასების რეზერვი. | 153459 | 0 | 0 |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ ( ზარალი )** | **2660647** | **597122** | **99672** |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1907938 | 1416079 | 1316407 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | (1176995) | (105263) | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 3391590 | 1907938 | 1416079 |

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(თანხები მოცემულია ლარში)

| | საწესდებო კაპიტალი | აკუმულირებული მოგება/ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| 2020 წლის 1იანვრის მდგომარეობით | 283400 | 439106 | 722506 |
| პერიოდის შედეგი | 2320 | 591581 | |
| გაცემული დივიდენდი | | | |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 285720 | 1030687 | 1316407 |
| პერიოდის შედეგი | | 99672 | |
| გაცემული დივიდენდი | | | |
| 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 285720 | 1130359 | 1416079 |
| პერიოდის შედეგი | | 597122 | |
| გაცემული დივიდენდი | | (105263) | |
| 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 285720 | 1622218 | 1907938 |
| პერიოდის შედეგი | 300000 | 2360647 | |
| გაცემული დივიდენდი | | (1176995) | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 585720 | 2805870 | 3391590 |

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(თანხები მოცემულია ლარში)

| **ფულადი სახსრების მოძრაობა** | **31/12/2023** | **31/12/2022** | **31/12/2021** |
|---|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 4375814 | 572213 | 280993 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (4494143) | (19614) | (217409) |
| **ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)** | **(118329)** | **552599** | **63584** |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (45263) | (3793) | (488) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 662767 | 113961 | 50865 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | **499175** | **662767** | **113961** |

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც წარმოდგენილია 6-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფილ ნაწილს.

ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექსკლუზივი“ (კომპანია) დაფუძნებულია და რეგისტრირებულია 2010 წლის 21 სექტემბერს.

სარეგისტრაციო ნომერი B10114076. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი,საბურთალოს რაიონი,მ.ალექსიძის ქ.#1,კორპ.4, ბ. 12. ;

ფაქტიური მისამართი : ქ.თბილისი,ორხევი,მ. კოსტავას ქ.# 6 ;

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 404872893

დირექტორი ემზარ შერეშაშვილი (პ/ნ 01016000335)-100% წილის მფლობელი

2017 წლის 01 დეკემბრიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის: პოლიეთილენის და ბიოდეგრადირებადი შესაფუთი პროდუქციის წარმოება,მასთან დაკავშირებული ნედლეულის შესყიდვა და გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია; სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული :მათ შორის იმპორტული ძეხვების შეძენა (იმპორტიორი ქვეყანა არის უკრაინა) და შემდეგში საბითუმოდ რეალიზაცია.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით: საქართველოს კანონი“ მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ( მსს ფასსსტანდარტები).ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა– ელექტრონული ფორმით, კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ინფო–ბუღალტერი“.კომპანია იყენებს კანონის შესაბამისად მოქმედ ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმას. ძირითადად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 31 დეკემბრის 2023 წლისთვის შეადგენდა 21 თანამშრომელი.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის მსსფასს სტანდარტების შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისშინაარს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოცემულია ლარებში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი)განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით ( ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.საკურსო სხვაობით გამოწვეული შედეგები ასახულია მოგება–ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხისმოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება,რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან

საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინაპერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაცმცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში.ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვაიწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ვინაიდან მიწის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია,შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს :

| N ჯგუფის დასახელება | ცვეთის ნორმა % |
|---|---|
| 1. შენობა–ნაგებობები | 5 |
| 2. მანქანა–დანადგარები | 20 |
| 3. ელექტროძრავები,თბოტექ.მოწყ. | 8 |
| 4. კომპ.ტექნიკა და პერიფ.მოწყ. | 20 |
| 5. ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20 |
| 6. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 15 |

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ანგარიშგებაში თვითღირებულებით (გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი-(ასეთის არსებობისას), რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალურიღირებულებით; საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალშიაიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;

არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის ამოწურვამდე. რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-10 წელს; ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივისფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საიჯარო გადასახადი მეიჯარისთვის არის შემოსავალი, ხოლო მოიჯარისთვის ხარჯი, რაც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 სხვა აქტივები

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდგანსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.შრომის დაცვის საშუალებები და სპეცტანსაცმელი აისახება მოკლევადიანი აქტივებისშემადგენლობაში.

3.6 სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები

შეძენილი სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები კომპანიის მიერ შემოსავალში ტარდებაშეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან ,ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

კომპანიაში წარმოებული მზა პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოებისთვითღირებულებით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება „საშუალო შეწონილი“ ფასებისმეთოდით.

პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელიმასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში.

3.6 სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები

შეძენილი სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები კომპანიის მიერ შემოსავალში ტარდებაშეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან ,ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;კომპანიაში წარმოებული მზა პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოებისთვითღირებულებით;სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით;სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება „საშუალო შეწონილი“ ფასების მეთოდით.

პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელიმასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში; პროდუქციისთვითღირებულებაში შესული ნედლეულის ხარჯვის ნორმები აღებულია კომპანიისშესაბამისი დროებითი ფარმაკოპეის სტატიებიდან, რომელიც დამტკიცებულია ჯანდაცვისსამინისტროს მიერ;შეზღუდული ვარგისიანობის ვადის მქონე საკუთარი წარმოების პროდუქციის სავაჭრო–საბითუმო ქსელიდან დაბრუნების შემთხვევაში ჩამოფასდება შესაძლო სარეალიზაციო ფასამდე, გაიყიდება ან ვადის გასვლის შემდეგ ჩამოიწერება ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ფინანსურ ანგარიშში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესიღირებულებით.

3.6.1 ცალკეული სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა–ჩასხმა ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით და ხარჯი ჩამოიწერება უსაბუთო ხარჯის აღიარებით კანონმდებლობით გათვალისცინებული გადასახადების ჩათვლით.

კომპანიის მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულებისსაქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ორმოცდაათ ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება დაექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალებიმარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში დაგამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტისსაფუძველზე;

სამშენბლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერებააქტის საფუძველზე.

3.7 მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნა (აქტივი) აღიარდება, მას შემდეგ , რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. მოთხოვნის (აქტივების) აღიარება წყდება,როდესაც აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებსვადა გასდის, ან იგი გადასცემს აქტივებთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები ანგარიშგებაში მოცემულია ნომინალურიღირებულებით; მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნეტო ( მოსალოდნელიანაზღაურების) თანხით. მოთხოვნების ამოღება დამოკიდებულია იმ განუსაზღვრელ გარემოებებზე , რომელშიც საწარმოს უხდება საქმიანობა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სავსებით შესაძლებელია რომელიმე პირმა ვერ შეასრულოს თავისი ვალდებულება საწარმოსწინაშე და ვერ უზრუნველყოს მოთხოვნის დაფარვა ნაწილობრივ ან მთლიანი ოდენობით. აღნიშნული გარემოება განაპირობებს მოთხოვნების უიმედობას, რაც თავისთავად უნდა ჩამოიწეროს(მსს ფასს-ის 11.21-11.23 მუხლი). უიმედო მოთხოვნების ჩამოწერის აუცილებლობა ნაკარნახებია შესაბამისობისა და საიმედოობის მოთხოვნით. უიმედო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორულიდავალიანების შესწავლის გზით.

3.8 ვალდებულებები

ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ , რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ვალდებულების აღიარება წყდება , როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ანვადა გაუვა.მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ანგარიშგებაში ასახულია იმ თანხით,რომლის გადახდა მოუწევს კომპანიას;მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ანგარიშგებაში აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით;სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყოგაწეული.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლებისდა ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა საწესდებო კაპიტალის 2320 ლარით გაზრდა, 2023 წლის სანგარიშო პერიოდში 300000 ლარით ,რაც აღიარებულია კომპანიის კაპიტალში.

აკუმულირებული მოგება–ზარალი შეიცავს მიმნდინარე და წინა პერიოდებისაკუმულირებულ მოგება–ზარალს.

## 3.10 შემოსავლების აღიარება და ხარჯების აღრიცხვა

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული , მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციისფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით ფასდათმობებით დასხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია ნეტო ღირებულებით( ე.ი. დღგ–ს გარეშე).

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად , თუშესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მისი წყაროების მიხედვით.ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდისხარჯებად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

## 3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრმოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებულისაგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანიცვლილებები, ეს ცლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15 %–ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებულიმოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%–ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად , თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ( დივიდენდის გაცემა) და ასევე , მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილებაიბეგრება 15/85 პროპორციით.აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსადა ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების

გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურანგარიშგებაში.

3.12 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდებაროგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ბალანსის ახსნა–განმარტებები

4.1 ძირითადი საშუალებები

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|---|---|
| **მიწის ნაკვეთი** | **2985000** | | | |
| ჯგუფის დასახელება | თანხა | თანხა | თანხა | თანხა |
| 1. შენობა-ნაგებობები | 905000 | - | - | - |
| 2. მანქანა-დანადგარები | 366435 | 435390 | 514482 | 478977 |
| 3.ელექტროძრავები,თბოტექ.მოწყ. | 23803 | 25873 | 28123 | 28875 |
| 4. კომპ.ტექნიქნიკა და პერიფ.მოწყ. | 6424 | 7586 | 5304 | 6561 |
| 5. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 594 | 698 | 822 | 966 |
| 6. ავტოტრანსპორტი | 56286 | | | |
| აკუმულირებული ცვეთა | (79295) | (88841) | (98798) | (66923) |
| სულ გრძელვადიანი აქტივი | 1279247 | 380706 | 449933 | 448456 |

2023 წლის 12 დეკემბერს,კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ფართობით 11293 კვ.მ, და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით სერთო ფართობით 2259 კვ.მ. საკადასტრო კოდი: # **01.19.16.002.018**, მისამართი: ქ.თბილისი, ორხევის დასახლება,მერაბ კოსტავას ქ. # 6.

შეძენილი უძრავი ქონება შეაფასდა საბაზრო ღირებულებით.შეფასების დასკვნა გასცა აუდიტორი კომპანია „კომპაუდი"(ს/კ 202385169).

4.2 არამატერიალური აქტივები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი არამატერიალურ აქტივებს შემდეგი სტრუქტურა გააჩნია:

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2019 |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | თანხა | თანხა | თანხა | თანხა |
| 1. ლიცენზია (ტავ ავსტრიის სერტიფიკატი) | 7518 | 7518 | 7518 | - |
| 2. ლიცენზია (პარკის გამოშვებაზი-უკრაინა) | 5162 | 5162 | 5162 | - |
| აკუმულირებული ცვეთა | (4928) | (2908) | (888) | - |
| სულ არამატერიალური აქტივები : | 7752 | 9772 | 11792 | |

.3 მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|---|
| დასახელება | თანხა | თანხა | თანხა |
| 1. ნედლეული და მასალები | 825726 | 596389 | 186425 |
| 2. მზა პროდუქცია | | 10511 | 224237 |
| სულ მარაგები : | 825726 | 606900 | 410662 |

## 4.4 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

| დასახელება | 31.12.2023<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| მოთხოვნები მიწო. მომსახ.: | 1288236 | 965447 | 925024 |
| საეჭვო მოთხოვნები: | 7779 | | 1437 |
| სულ სავაჭრო მოთხოვნები : | 1296015 | 965447 | 926461 |

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 15-150 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი.

## 4.5 სხვა მიმდინარე აქტივები და გადახდილი ავანსები

სხვა მიმდინარე აქტივებს და გადახდილ ავანსებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

| დასახელება | 31.12.2023<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| 1. სხვა მიმდინარე აქტივი : | | | |
| წინასწარ გადახდილი დღგ | 542063 | 67819 | 9054 |
| წინასწარ გადახდილი ქონება | | 4490 | 3407 |
| სულ: | 542063 | 72306 | 12461 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. გადახდილი ავანსები | 265886 | 190544 | 5030 |
| **სულ:** | **265886** | **190544** | **5030** |

გადახდილი ავანსები მოიცავს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ მომწოდებლებს;კომპანიის ადმინისტრაციას არ განუხორციელებია უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა.

4.6 გადავადებული მოგების გადასახადი გადავადებული მოგების გადასახადი ანგარიშგებაში განმარტებულია 3.11 პუნქტში.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

შეზღუდული საზოგადოება „ექსკლუზივის“-ს ფულადი სახსრები განთავსებულია სს „საქართველოს ბანკებში“ და სს „თიბისი ბანკების“ ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით ქ. თბილისისა და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში, მათი სტრუქტურა შემდეგია :

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|---|
| დასახელება | თანხა | თანხა | თანხა |
| 1 ნაღდი ფული სალაროში | 113385 | 24281 | 22980 |
| 2 ეროვნული ვალუტა ბანკში | 385790 | 493447 | 90981 |
| 3 უცხოური ვალუტა ბანკში | | 145039 | |
| სულ : | 499175 | 662767 | 113961 |

უცხოური ვალუტა კონვერტირებულია ლარში ტრანზაქციებისა და ანგარიშგების წარდგენისთარიღებით.

4.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| დასახელება | 31.12.2023 თანხა | 31.12.2022 თანხა | 31.12.2021 თანხა |
|---|---|---|---|
| 1 მოწოდ. და მომსახ. წარმ.ვალდებ. | 288164 | 472028 | 307800 |
| სულ: | 288164 | 472028 | 307800 |

გარკვეული საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი 1-60 დღე.ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ.

4.8.1 სხვა ვალდებულებები

| დასახელება | 31.12.2023 თანხა | 31.12.2022 თანხა | 31.12.2021 თანხა |
|---|---|---|---|
| 1. მიღებული ავანსები | 412 | 444444 | 59351 |
| 2. გადასახდელი საბიუჯ.გადასახ. | 6102 | 59879 | 46502 |
| 3. ქონების გადასახადი | 7128 | 4153 | 4492 |
| სულ : | 13642 | 508476 | 418145 |

საგადასახადო ვალდებულების მუხლებში ჩართულია დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოწურულიარ არის. მიღებული ავანსები, 2023 წელს გასტუმრებული იქნება კომპანიის მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის მიწოდებით მყიდველისთვის.

4.8.2 სესხები

| დასახელება | 31.12.2023 თანხა | 31.12.2022 თანხა | 31.12.2021 თანხა |
|---|---|---|---|
| 1. სესხები საბანკო. | 4007468 | 0 | 96076 |
| სულ: | 4007468 | 0 | 96076 |

სესხები წარმოდგენილია ლარში.

4.9 მოგება-ზარალის ანგარიშგება

4.9.1 ამონაგები

| დასახელება | 31.12.2023 თანხა | 31.12.2022 თანხა | 31.12.2021 თანხა |
|---|---|---|---|
| რეალიზაცია | 8001679 | 4551839 | 3565117 |
| ფასდათმობა | (6983) | (22532) | (26187) |
| დაბრუნებული საქონელი | | (1627 ) | (1690) |
| სულ: | 7994696 | 4527680 | 3537240 |

რეალიზაცია მოიცავს საკუთარი წარმოების პროდუქციის.

4.9.2 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი შემდეგია:

| დასახელება | 31.12.2023<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| რეალიზ.პროდუქ.თვითღირებ. | 4836431 | 3727652 | 3285690 |
| სულ: | 4836431 | 3727652 | 3285690 |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წარმოებაში მომუშავე თანამშრომელთა ხელფასებს,ასევე საკუთარი პროდუქციის წარმოებისას გამოყენებულ ნედლეულისა და მასალების თვითღირებულებას, შენობისა და მწარმოებელი მანქანა- დანადგარების ცვეთას,შენობის იჯარის საფასურს,წარმოებაში გამოყენებული აქტივების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის გასაყიდად წარმოებისთვის.

4.9.3 წმინდა მოგება-ზარალი უცხოური ვალტის გადაფასებიდან

| დასახელება | 31.12.2023<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| დადებითი საკურსო სხვაობები | 39960 | 44 | 1256 |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები | (85223) | (3837) | ( 1744) |
| წმინდა მოგება -ზარალი გადაფას. | (45263) | (3793) | (488) |

### 4.9.4 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

| დასახელება | 31.12.20223<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 0 | 11450 | 7789 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | (4333) | (19569) | (9121) |
| წმინდა შემოსავალი/ხარჯი | (4333) | (8119) | (1332) |

სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში გაერთიანებულია შემოსავლები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული, ერთ-ერთი არის კორონავირუსთან დაკავშირებული საშემოსავლო შეღავათი და სხვა. სხვა არასაოპერაციო ხარჯების შემადგენლობაში შედის ჯარიმა-საურავი და სხვა.

რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები აერთიანებს შემდეგ ელემენტებს :

| დასახელება | 31.12.2023<br>თანხა | 31.12.2022<br>თანხა | 31.12.2021<br>თანხა |
|---|---|---|---|
| იჯარით აღებული ავტოტრანსპორტის ღ-ბა | 5081 | 4875 | 4500 |
| ბენზინის ხარჯი | 19950 | 12942 | 9688 |
| სულ: | 25031 | 17817 | 14188 |

4.9.6 ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები აერთიანებს დანახარჯების შემდეგელემენტებს:

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|---|
| დასახელება | თანხა | თანხა | თანხა |
| საპენსიო 2% წარმოების წილი | 7399 | 4672 | 3998 |
| შრომის ანაზღაურება | 250863 | 127738 | 99490 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 3305 | 3182 | 1949 |
| სხვა ხარჯები | 13791 | 10451 | 6164 |
| საკომუნიკაციო ხარჯი | 708 | 305 | 305 |
| ტრანსპორტის ხარჯი | 25031 | 17817 | 14188 |
| ბანკის მომსახურება | 14788 | 1357 | 3563 |
| საკანცელარიო | 233 | 0 | 283 |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | 11281 | 4153 | 2863 |
| საპროცენტო ხარჯი | 71459 | 2743 | 17255 |
| სულ ადმინ.და სხვა საოპ.ხარჯი | 398858 | 172418 | 150058 |

სხვა საგადასახადო ხარჯებში შედის ქონების ,მიწის გადასახადის,ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიის გადასახადის და მოგების გადასახადის ხარჯი, რომელიც წარმოიშვა არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

4.9.7 მოგება – ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან,

კომპანიას 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ გუყიდია ძირითადი საშუალებები.

5. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგება-ზარალს. კომპანია ცდილობს ისე მართოს კაპიტალი საქართველოში

ბაზარზეარსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადექვატურიუკუგებით.

6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირიმეთოდით და ის გამოიყურება შემდეგნაირად:

| | 31.12.2023 | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|---|
| დასახელება | თანხა | თანხა | თანხა |

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახს. | 7924986 | 5723051 | 3794974 |
| მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები | (6649167) | (4558632) | (3287097) |
| თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები | (300976) | (183987) | (173567) |
| საბაჟოზე გადახდილი გადასახადები | (1060) | (400) | ( 900) |
| საბანკო ხარჯი | (14788) | (1357) | (2555) |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) | (506481) | (293111) | (120378) |
| უსაბუთო ხარჯი | (12639) | (11001) | ( 8235) |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები | (70) | | ( 70) |
| **საოპერაციო საქმიანობ. ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი** | 439805 | **674563** | **202172** |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან : | | | |
| ძირითადი საშუალებების და არამატ.აქტივების შეძენა | (4494143) | (23145) | ( 217409) |

| | | | |
|---|---|---|---|
| კაპიტალუს ცვლილება | | - | |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან: | | | |
| სესხების აღება | 4007468 | 52000 | 525525 |
| სესხების დაფარვა | | (148076) | (429449) |
| გადახდილი პროცენტები | (71459) | (2743) | (17255) |
| ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვ.ზრდა/კლება (ნეტო) | (45263) | (3793) | (488) |
| ფულადი სახსრ. და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზარდი | (163592) | 548806 | 63096 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყის. | 662767 | 113961 | 50865 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს | 499175 | 662767 | 113961 |

7. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები .

ბალანსის თარიღის შემდეგ არ ყოფილა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა ამ ფინანსური ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რიცხვების კორექტირებას.

8. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

8.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები.

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებულისააღრიცხვო შეფასებები,შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგებისგან მაგალითად, ძირითადი საშუალებების სასიცხოოცხლო ვადები და უიმედო ვალები; კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

9. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.კომპანია არ არის დაცული საბაზრო

რისკისგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისგამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისგან,რომელიც გამოწვეულია როგორც საოპერაციო აგრეთვე,საინვესტიციო საქმიანობიდან.

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითადმოთხოვნების გამო.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროსვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ცდილობს განახორციელოს გონივრული პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისირაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

10. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით.

მენეჯმენტი თვლის , რომ კომპანიის ფუნქციონირება მომქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. დიდიმედებს ვამყარებთ მომავალ საანგარიშგებო წელზე; არსებული პროგნოზებით კომპანია შენარჩუნებული შტატით, საბაზრო სეგმენტით ახორციელებს გადასავლელ სამუშაოებს მისი დასრულებისა და სერთიფიცირებისთვის.

მთავარი ბუღალტერი: ანარა ზოლოტარევა

Anara Zolotareva 12004000172

Digitally signed by Anara Zolotareva Date: 2024.10.09 18:43:01